ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 30
10/06/2020

30-48-4-202006101647

საქართველოს რეგიონების ინტეგრირებული განვითარების 2020-2022 პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ “საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს №1713 განკარგულებისა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის“ მე-4 პრიორიტეტის 4.2 ღონისძიების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

მოწონებული იქნას განსახოციელებლად „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს №1713 განკარგულებისა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის“ მე-4 პრიორიტეტის 4.2 ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

ა) რეკრეაციული ზონის „მშვიდობის პარკის“ სრული განახლება/რეკონსტრუქცია სოფელ ბზიაურში;

ბ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა სოფელ მოწამეთაში;

გ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა სოფელ საწირეში.

მუხლი 2.

ნება დაერთოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით

განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაგეგმილ საგრანტო კონკურსში.

მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4.
განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო